ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7566692

ნომერი: AR11097167

თარიღი : 25.06.2025

გაცემის თარიღი : 24.07.2025

გაცნობის თარიღი : 30.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 25 ივნისს №AR11097167 განცხადებით მომართა ია ჩეხერიამ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 5 მაისის

№7467106 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებით შეთანხმდა, №01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული საოფისე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, სურს არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 11753.6 კვ.მ-ის ნაცვლად 13850.6 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადარა შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაში და არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ველში, კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 11753.6 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 13850.6 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.